



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი



2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულებული სასამართლო დავები და დაკისრებული ფინანსური პასუხისმგებლობა - პრაქტიკის მიმოხილვა

კვლევა მომზადებულია პროექტის - [სადამკვირვებლო ჯგუფების გაძლიერება მთავრობის ანგარიშვალდებულებისთვის](#) - ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია [ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის](#) მიერ, ვიშეგრადის გრანტების პროგრამით, ჩეხეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და სლოვაკეთის მთავრობების თანადაფინანსებით. ფონდის მისიაა ცენტრალურ ევროპაში მდგრადი რეგიონული იდეების წახალისება.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის პოზიციას.

• Visegrad Fund

თბილისი

2019

სარჩევი

| | |
|--|----|
| ძირითადი მიგნებები..... | 2 |
| სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დამდგარი ზიანისთვის - კანონმდებლობის მიმოხილვა | 3 |
| ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები..... | 4 |
| საქმეების რაოდენობა, რომლებიც საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულდა 2013-2017 წლებში..... | 5 |
| 2013-2017 წლებში სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური ოდენობა | 8 |
| 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის საშუალო მაჩვენებელი..... | 11 |
| საჯარო დაწესებულებების მხრიდან პასუხისმგებელი პირებისგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევები | 12 |
| საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულებული შრომითი დავები..... | 14 |
| დასკვნა | 17 |

ძირითადი მიგნებები

- IDFI-ის მიერ კვლევის ფარგლებში განხილული 89 საჯარო დაწესებულების წინააღმდეგ 2013-2017 წლებში კანონიერ ძალაში ჯამში 1,543 გადაწყვეტილება შევიდა.
- 2013-2017 წლებში ყველაზე მეტი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინააღმდეგ შევიდა, ჯამში - 831, რაც განპირობებულია დავების სპეციფიკით (დავებიდან 401 ეხებოდა ლტოლვილის სტატუსის მინიჭებას, 178 - დევნილის სტატუსის აღდგენას და სხვა).
- 2013-2017 წლებში სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად საჯარო დაწესებულებებს (განხილულ 89 საჯარო დაწესებულებას) ჯამში 1,631,603.36 ლარი დაეკისრა.
- პასუხისმგებლობის სახით ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციას დაეკისრა - ჯამში 188,780.60 ლარი.
- სამინისტროების შემთხვევაში 2013-2017 წლებში ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა დაეკისრა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს - 135,974.8 ლარი.
- 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შემთხვევაში - 57,909 ლარი.
- სამინისტროებს შორის 2013-2017 წლებში დაკისრებული პასუხისმგებლობის საშუალო მაჩვენებელი ყველაზე მაღალია შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემთხვევაში - 7,157 ლარი.
- 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებმა პასუხისმგებელი პირებისაგან რეგრესის წესით ანაზღაურება ჯამში სულ 8 შემთხვევაში მოითხოვეს.
- მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით, თანამშრომლების სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო ყველაზე დიდი რაოდენობის თანხა სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ დაეკისრა.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დამდგარი ზიანისთვის - კანონმდებლობის მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუციით დამკვიდრებულია პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს აკისრებს მისი ორგანოებისა და მოსამსახურეების უკანონო ქმედებით დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსაგან ან მოსამსახურისაგან უკანონოდ მიყენებული ზიანის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.¹

კონსტიტუციით აღიარებული ეს პრინციპი ასევე ასახულია ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რომლის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.²

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის გამომწვევი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.³ აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.⁴

სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ავტომატურად არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს. მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც შეეხება სახელმწიფოსა და ზიანის მიმყენებელ პირს შორის ურთიერთობას, არ არის მონესრიგებული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით.⁵ ამ საკითხს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსი⁶, რომლის თანახმად განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობა უშვებს სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებით მიყენებული ზარალის მთლიანად ან ნაწილობრივ რეგრესის წესით ამოღების შესაძლებლობას, თუ სახეზეა მოსამსახურის განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა.

1 საქართველოს კონსტიტუცია, მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი.

2 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 208-ე მუხლი.

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე, გვ. 95.
ხელმისაწვდომია: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-administraciuli-2016.pdf>

4 საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 207-ე მუხლი.

5 <https://bit.ly/2PYtDzQ> გვ. 145.

6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1005-ე მუხლი.

ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები

IDFI-მ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან საჯარო ინფორმაციის სახით [მოითხოვა](#) 2013-2017 წლებში კანონიერ ძალაში შესული მათ წინააღმდეგ დასრულებული სასამართლო დავების ჩამონათვალი, დავის საგნისა და დაკისრებული პასუხისმგებლობის მითითებით (მათ შორის, დაკისრებული და ანაზღაურებული თანხის ოდენობა). გარდა ამისა, IDFI-მ ამავე წერილით მოითხოვა ინფორმაცია რეგრესის წესით შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისგან მოთხოვნილი და ანაზღაურებული ზიანის ოდენობა და ამ საკითხზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა.

საერთო ჯამში, IDFI-მ გამოიკვლია 89 საჯარო დაწესებულების, მათ შორის, სამინისტროების, პარლამენტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები და უწყებათა მიერ რეგრესის წესით მოთხოვნილი და ანაზღაურებული ზიანის ოდენობა.

აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს არ მოუწოდებია მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია. თუმცა, საერთო ჯამში, IDFI-ის მიერ მოპოვებული საჯარო ინფორმაციის დამუშავებით შესაძლებელი გახდა განსახილველ საკითხთან მიმართებით სტატისტიკური მონაცემებისა და შესაბამისი დასკვნების წარმოდგენა.

განსახილველ შემთხვევაში, რეგრესის წესით ანაზღაურება გულისხმობს საჯარო დაწესებულებების მხრიდან იმ პირთა იდენტიფიცირებას, რომლებიც პასუხისმგებელი არიან უკანონო ქმედებების განხორციელებაზე, უფრო კონკრეტულად კი, ისეთი ქმედებების განხორციელებაზე, რამაც შედეგად გამოიწვია საჯარო დაწესებულების დავალდებულება, გადაეხადა შესაბამისი თანხა. რეგრესის წესით ანაზღაურება მნიშვნელოვანია, რათა არ მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვა და უკანონო ქმედებების წახალისება.

IDFI-მ დაახარისხა მიღებული საჯარო ინფორმაცია და დაამუშავა დეტალური სტატისტიკური მონაცემების ამსახველი [ცხრილი](#), რომელიც მოიცავს განყოფილებას დავის საგნის, საჯარო დაწესებულებაზე დაკისრებული პასუხისმგებლობისა და პასუხისმგებელი პირებისაგან რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევების შესახებ. საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობები, თავის მხრივ, დაყოფილია სახეების მიხედვით.

გემოაღნიშნული მონაცემების დაჯგუფების შედეგად, შესაძლებელი გახდა ზოგადი სტატისტიკური მონაცემების ამსახველი [ცხრილის](#) შექმნაც, რომელიც მოიცავს საჯარო დაწესებულებების ჩამონათვალს მათ წინააღმდეგ 2013-2017 წლებში კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების მითითებით.

კვლევის ფარგლებში ზოგიერთმა საჯარო დაწესებულებამ IDFI-ს არ მიანოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია, თუმცა ღია წყაროების მიხედვით, ცნობილია, რომ ამ დაწესებულებებში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულმა პირებმა სასამართლოს გადაწყვეტილებების საფუძველზე მიიღეს ან მიიღებენ კომპენსაციას სახელმწიფო ბიუჯეტიდან. IDFI-მ საჯარო ინფორმაციის სახით თბილისის სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოდან მოითხოვა იმ გადაწყვეტილებების/განჩინებების ასლები, სადაც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ან მისი დაქვემდებარებული რომელიმე საჯარო სამართლის იურიდიული პირი და დავის საგანი არის სამსახურში აღდგენა ან/და იძულებითი

განაცდურის ანაზღაურება. IDFI-ის აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიანოდა, თუმცა არასრულად.⁷

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაძლოა სრულყოფილი არ იყოს, რადგან როგორც IDFI-სთვის გამოგზავნილ პასუხში არის მითითებული, სასამართლო IDFI-ის მიერ მითითებული რეკვიზიტით გადანაცვლებათა/განჩინებათა საარქივო დამუშავებას არ ახორციელებს. წერილში ასევე აღნიშნულია: „მიუხედავად ამისა, გიგზავნი, შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ მიერ მოძიებულ განჩინებების/გადანაცვლებების ასლებს.“⁸

აღნიშნული ინფორმაციისა და საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის დამუშავების შედეგად, IDFI-მ კვლევაში ცალკე გამოყო შრომითი კატეგორიის დავებიც, რომლებიც საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულდა. ამ ნაწილშიც IDFI-მ შეადგინა მონაცემების [ცხრილი](#).

კვლევაში განხილული არ არის უკანონოდ გათავისუფლების დავებზე ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლის შედეგად გარკვეული თანხის გადახდა დაეკისრა სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ კომპანიებს ან არაკომერციულ იურიდიულ პირებს.

საქმეების რაოდენობა, რომლებიც საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულდა 2013-2017 წლებში

IDFI-ის მიერ კვლევის ფარგლებში განხილული 89 საჯარო დაწესებულების წინააღმდეგ 2013-2017 წლებში კანონიერ ძალაში ჯამში 1,543 გადაწყვეტილება შევიდა. როგორც უკვე აღინიშნა, რამდენიმე საჯარო უწყებამ IDFI-ის მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არასრულად ან საერთოდ არ მიანოდა. გარდა ამისა, რიგ შემთხვევებში იყო ხარვეზებიც, ვინაიდან უწყებები არ ანარმოებდნენ დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით ინფორმაციის აღრიცხვას, მათ შორის, არ უთითებდნენ კონკრეტულ წლებს. მაგალითისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ საჯარო ინფორმაციის წერილში მითითებულია, რომ „2013-2017 წლებში სამინისტროს წინააღმდეგ დასრულებული დავების, ასევე თანამშრომლებისაგან რეგრესის წესით მოთხოვნილი და ანაზღაურებული ზიანის თაობაზე წარმოებული დავების აღრიცხვას სამინისტრო არ ანარმოებს.“⁹ აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა საერთო ჯამური მაჩვენებელი, რომელიც საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ 2013-2017 წლებში კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებს ასახავს, უფრო მეტი იყოს, ვიდრე ჩვენ მიერ დამუშავებული მონაცემები.


2013-2017 წლებში ყველაზე მეტი გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინააღმდეგ შევიდა. კერძოდ, სამინისტროს წინააღმდეგ კანონიერ ძალაში ჯამში 831 სასამართლო გადაწყვეტილება შევიდა (იხ. სურათი #1). ამ მხრივ პირველ ხუთეულში ასევე შედის თავდაცვის სამინისტრო (საქმეები, მათ შორის, კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით), საქპატენტი (დავები ძირითადად სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით), საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატი (დავები ძირითადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით), შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიცია. თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ ჯამში 352 საქმე

⁷ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 ნოემბერს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი N01/400(ა).

⁸ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 ნოემბერს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი N01/400(ა).


⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის 6 აგვისტოს საჯარო ინფორმაციის წერილი MIA 7 18 01891851.

დასრულდა, საქპატენტის წინააღმდეგ - 37 საქმე, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ - 31 საქმე, ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის აპარატის წინააღმდეგ - 30 საქმე, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის წინააღმდეგ - 28 საქმე. (იხ. სურათი #1).




რაც შეეხება პირველ ათეულს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის შემდეგ 2013-2017 წლებში ყველაზე მეტი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინააღმდეგ ფიქსირდება - 20 საქმე. 19 საქმე დასრულდა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ. 17-17 საქმე დასრულდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურისა და სასჯელაღსრულების, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წინააღმდეგ (სურათი #2).

სურათი #2 - 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები



იმ შემთხვევაში, თუ მონაცემებს მხოლოდ სამინისტროებთან მიმართებით განვიხილავთ, მივიღებთ შემდეგ შედეგს: 2013-2017 წლებში კანონიერ ძალაში ყველაზე მეტი სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შევიდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წინააღმდეგ (831 გადაწყვეტილება). მეორე ადგილზეა - თავდაცვის სამინისტრო (352 გადაწყვეტილება), მესამე ადგილზე - განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (20 გადაწყვეტილება), მეოთხე ადგილზე - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (19 გადაწყვეტილება), მეხუთე ადგილზე კი - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (17 გადაწყვეტილება)(იხ. სურათი #3).


სურათი #3 - 2013-2017 წლებში სამინისტროების წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები



2013-2017 წლებში სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური ოდენობა

IDFI-ის მიერ მოპოვებული საჯარო ინფორმაციის დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ 2013-2017 წლებში სასამართლო გადაწყვეტილებების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგად საჯარო დაწესებულებებს (განხილულ 89 საჯარო დაწესებულებას) ჯამში 1,631,603.36 ლარი დაეკისრა. ამ მხრივ პასუხისმგებლობის სახით ყველაზე დიდი თანხა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციას დაეკისრა - ჯამში 188,780.60 ლარი. მეორე ადგილს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაცია იკავებს, რომელსაც ჯამში 173,727.92 ლარი დაეკისრა. მესამე ადგილას არის შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (135,974.8 ლარი), მეოთხე ადგილას - სასაქვალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (105,609 ლარი), მეხუთე ადგილას კი - ადამიანთ ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (97,893.84 ლარი). (იხ. სურათი #4).

სურათი #4 - 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური ოდენობა (ლარი)




რაც შეეხება შემდეგ ხუთეულს, ამ მხრივ სხვა საჯარო დაწესებულებებთან შედარებით ჯამურად პასუხისმგებლობის დიდი რაოდენობა დაეკისრათ: თავდაცვის სამინისტროს (88,277.83 ლარი), ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (79,535.86 ლარი), ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს (70,960.87 ლარი), დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს (65,976.95 ლარი), საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს (55,000 ლარი) (იხ. სურათი #5).

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საჯარო დაწესებულების მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი არ შეიცავდა ზუსტ მითითებას დაკისრებული პასუხისმგებლობის შესახებ, მაგალითისათვის, სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების შემთხვევაში, იძულებითი განაცდურის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი მონაცემები 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური რაოდენობის რეიტინგულ განაწილებასთან დაკავშირებით შესაძლოა ზუსტი არ იყოს.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის შემთხვევაში თანხა არა მხოლოდ ლარებში იყო მითითებული, არამედ სხვა ვალუტაშიც. უფრო ზუსტად, მითითებული იყო, რომ დაცვის პოლიციას დაეკისრა 111,574.27 ლარი, 1,540 ევრო, 10,736 დოლარი, 22,500 რუბლი და 530 თურქული ლირა, საიდანაც 100,000 ლარი აანაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ. გარდა ამისა, მითითებული იყო, რომ დაცვის პოლიციას დაეკისრა ასევე 10,501 ლარის გადახდა, საიდანაც 8,250 ლარი აანაზღაურა სადაზღვევო კომპანიამ. გარდა ამისა,

დაცვის პოლიციას ასევე დაეკისრა 3,800 ლარის, 14,547.01 ლარის, 5,592.77 ლარისა და 16,000 ლარის გადახდა.¹⁰ ჯამში დაცვის პოლიციას 188,129.925 ლარის¹¹ გადახდა დაეკისრა.


სურათი #5 - 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური რაოდენობა (ლარი)



იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მონაცემებს მხოლოდ სამინისტროებთან მიმართებით განვიხილავთ, პირველ ხუთეულში იქნებიან: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (135,974.8 ლარი), სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო (105,609 ლარი), თავდაცვის სამინისტრო (88,277.83 ლარი), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (58,297 ლარი) და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (51,830 ლარი) (იხ. სურათი #6).

¹⁰ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ 2018 წლის 20 აგვისტოს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი MIA 0 18 02023405.
¹¹ თანხები დათვლილია 2019 წლის აპრილის კურსით.

სურათი #6 - 2013-2017 წლებში სამინისტროებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის ჯამური რაოდენობა (ლარი)



2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის საშუალო მაჩვენებელი

იმის გათვალისწინებით, რომ 2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ განსხვავებული რაოდენობის სასამართლო გადაწყვეტილებები შევიდა კანონიერ ძალაში, რაც გარკვეულწილად აისახება დაკისრებული პასუხისმგებლობების ჯამურ ოდენობაზეც, წარმოგიდგინებთ საშუალო მაჩვენებელს, კერძოდ, სტატისტიკურ მონაცემებს, საშუალოდ რა რაოდენობის თანხა დაეკისრა საჯარო დაწესებულებას 1 საქმეზე. ამ მხრივ პირველი ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:


| სურათი #7 -2013-2017 წლებში საჯარო დაწესებულებებზე დაკისრებული პასუხისმგებლობის საშუალო მაჩვენებელი | |
|--|--|
| საჯარო დაწესებულება | საჯარო დაწესებულებისათვის 1 საქმეზე საშუალოდ დაკისრებული პასუხისმგებლობა (ლარი) |
| სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 57,909 |
| საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო | 55,000 |

| | |
|---|-----------|
| დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი | 32,988 |
| სურსათის ეროვნული სააგენტო | 30,246 |
| ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი | 24,473.46 |
| სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 14,516 |
| დაცული ტერიტორიების სააგენტო | 12,310 |
| ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 8,870 |
| შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 7,157 |

საჯარო დაწესებულებების მხრიდან პასუხისმგებელი პირებისგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევები

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საჯარო დაწესებულებებმა პასუხისმგებელი პირებისგან რეგრესის წესით ანაზღაურება 2013-2017 წლებში ჯამში სულ **8 შემთხვევაში** მოითხოვეს. კერძოდ, რეგრესის წესით ანაზღაურება მოითხოვა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციამ (დეპარტამენტმა), საავტომობილო გზების დეპარტამენტმა და ეროვნულმა სატყეო სააგენტომ (იხ. სურათი #8).

სურათი #8 - საჯარო დაწესებულებების მხრიდან პასუხისმგებელი პირებისაგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის შემთხვევები



გარდა ამისა, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აქვს მიმდინარე დავა, რომელიც შეეხება სამინისტროს ყოფილი მოხელის მიერ მიყენებული ზიანის რეგრესის წესით ანაზღაურების საკითხს.¹²

აღსანიშნავია, რომ IDFI-ისათვის მოწოდებული საჯარო ინფორმაციის გათვალისწინებით, დასახელებული საქმეებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი იდენტიფიცირება, თუ საჯარო დაწესებულების წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შესული რომელი გადაწყვეტილების შემდეგ მოხდა დაწესებულების მიერ თანამშრომლისაგან ან სხვა პასუხისმგებელი პირისაგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნა. კერძოდ, აღნიშნულის იდენტიფიცირება შესაძლებელია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) მიერ თანამშრომლისაგან რეგრესის წესით ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში.

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციას (დეპარტამენტს) კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად დაეკისრა 3,440 ლარის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ, რომელიც ითხოვდა 2014 წლის 19 ივნისიდან 2015 წლის 18 მაისამდე მიუღებელი კომპენსაციის - 3,784 ლარის ანაზღაურების დაკისრებას. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციამ (დეპარტამენტმა) ეს თანხა რეგრესის წესით თანამშრომლისაგან მოითხოვა და, შესაბამისად, ანაზღაურებაზე საბიუჯეტო სახსრები არ დახარჯულა.¹³

აღსანიშნავია ასევე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შემთხვევა. სამინისტრომ 2016 წელს შეიტანა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში პენიტენციური დაწესებულების ორი ყოფილი თანამშრომლის წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლომ დამნაშავედ ცნო კონკრეტული პირის წამებასა და არაადამიანურ

¹² საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 2018 წლის 5 ივნისს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი N01/1713.
¹³ საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტის) მიერ 2018 წლის 13 იანვარს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი N22822.

მოპყრობაში. შემდგომში, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ვალდებული გახდა წამების მსხვერპლი პირისათვის კომპენსაცია გადაეხადა, რა თანხაც სამინისტრომ პასუხისმგებელი პირებისაგან რეგრესის წესით მოითხოვა.

საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულებული შრომითი დავები


IDFI-მ ცალკე კატეგორიად გამოყო შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დავები. წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობა საჯარო დაწესებულებებიდან მოწოდებულ ინფორმაციას და ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ ინფორმაციას შესაძლოა არასრულყოფილი იყოს, ვინაიდან სასამართლოს განმარტებით, IDFI-ის მიერ მითითებული რეკვიზიტით გადაწყვეტილებათა/განჩინებათა საარქივო დამუშავება არ ხორციელდება.¹⁴

აღსანიშნავია, რომ ამ ნაწილში განხილულია მხოლოდ ისეთი შრომითი დავები, რომლებიც ეხება სამსახურიდან გათავისუფლებას, სადაც მოთხოვნას წარმოადგენდა სამსახურში აღდგენა ან/და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2013-2017 წლებში სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებასთან დაკავშირებულ შრომით დავაზე ყველაზე დიდი თანხა დანაშაულის პრევენციის ცენტრს დაეკისრა - 148,000 ლარი. სხვა მხრივ, პირველ ხუთეულში ასევე არიან: იუსტიციის სახლი, რომელსაც დაეკისრა 111,300 ლარი, სახალხო დამცველის აპარატი, რომელსაც დაეკისრა 50,560.71 ლარის გადახდა, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელსაც, მოწოდებული საჯარო ინფორმაციის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავებზე ჯამში 42,280 ლარის გადახდა დაეკისრა, ხოლო მეხუთე ადგილზე - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო - 44,849.27 ლარი. (იხ. სურათი #9).

¹⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2018 წლის 7 ნოემბერს მოწოდებული საჯარო ინფორმაციის წერილი N01/400(ა).

სურათი #9 - 2013-2017 წლებში შრომით დავებზე საჯარო დაწესებულებებისათვის დაკისრებული თანხები (ლარებში)



აღსანიშნავია, რომ დანაშაულის პრევენციის ცენტრთან დაკავშირებული მონაცემი შესაძლოა უფრო მაღალი იყოს, იქიდან გამომდინარე, რომ მითითებული თანხა დათვლილია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 9 მარტის გადაწყვეტილებით დაკისრებული რაოდენობის გათვალისწინებით, რომელიც უცვლელი დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინებით. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა თამაზ ახოხაძისა და ანა სუბელიანის საქმეს, რომლებიც სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრიდან“ 2014 წლის 10 იანვარს გაათავისუფლეს.¹⁵ თამაზ ახოხაძე და ანა სუბელიანი ცენტრში პროექტების მენეჯერებად მუშაობდნენ. დანაშაულის პრევენციის ცენტრის მიერ მათი გათავისუფლების მიზეზად განხორციელებული რეორგანიზაცია დასახელდა¹⁶, რომლის შედეგადაც პროექტების მენეჯერთა თანამდებობები გაუქმდა და მათ ნაცვლად შეიქმნა ახალი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სამმართველო და მედიაციის სამმართველო,¹⁷ რომლებიც გათავისუფლებულთა თანამდებობის ტოლფას თანამდებობებს წარმოადგენდა.¹⁸

ანა სუბელიანისა და თამაზ ახოხაძის გათავისუფლება თბილისის საქალაქო სასამართლომ უკანონოდ ცნო. მართალია, მათი მოთხოვნა სამსახურში აღდგენის ნაწილში არ დაკმაყოფილდა და სასამართლომ სამინისტროს მხოლოდ ოთხი თვის განაცდურის ანაზღაურება დააკისრა, თუმცა სუბელიანმა და ახოხაძემ დავა თბილისის სააპელაციო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებში მოიგეს. საბოლოოდ, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ რეორგანიზაცია ფორმალური იყო და რომ თამაზ ახოხაძე და ანა სუბელიანი კონკრეტული თანამდებობის პირების მხრიდან მათ მიმართ სუბიექტური განწყობის გამო გათავისუფლდნენ.¹⁹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს

¹⁵ <http://www.tabula.ge/ge/story/124218-gatavisuflebulma-tanamshromlebma-iusticiis-ministrs-uzenaesshi-dava-mouges> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 8 დეკემბერს).

¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-682-636-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ. 3.1.

¹⁷ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-682-636-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ.3.

¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 15 სექტემბრის განჩინება საქმეზე №ას-682-636-2017, აღწერილობითი ნაწილი, პარ.7.

¹⁹ <https://gyla.ge/ge/post/danashaulis-prevenciis-centri-kvlav-tavs-aridebs-kanonier-dzalashi-shesuli-gadatsyvtebis->

გადაწყვეტილებების თანახმად, დანაშაულის პრევენციის ცენტრს დაეკისრა როგორც იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ისე მათი სამსახურში აღდგენა, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით, სსიპ “დანაშაულის პრევენციის ცენტრის” საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.²⁰

თბილისის სააპელაციო სასამართლომ სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრს“ ანა სუბელიანისა და თამაზ ახობაძის სასარგებლოდ დააკისრა 2014 წლის 11 მარტიდან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიური ხელფასის - 1,500 ლარის გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში, პრობლემას წარმოადგენდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გაჭიანურება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულებლობის შედეგად გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელი თანხის რაოდენობაც. ²¹

საზოგადოებისათვის ასევე ცნობილია ქეთევან კობახიძის საქმე, რომელიც IDFI-ის მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მოპოვებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში არ არის დაფიქსირებული. ქეთევან კობახიძის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო იუსტიციის სამინისტროსა და იუსტიციის სახლს კომპენსაციის სახით 55,000 ლარის გადახდა დაეკისრათ. როგორც ცნობილია, ქეთი კობახიძე 2013 წლის 14 იანვრიდან მუშაობდა იუსტიციის სამინისტროში შემავალ სსიპ იუსტიციის სახლში იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. დაკავებული თანამდებობიდან იგი 2014 წლის 2 ივნისს გაათავისუფლეს. კობახიძე იურიდიული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან სსიპ იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის ბრძანებით გათავისუფლდა, რის მიზეზადაც ადმინისტრაციული გადაცდომა დასახელდა. ქეთევან კობახიძემ სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული შრომითი დავა თბილისის საქალაქო სასამართლოში წააგო, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლომ მისი სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა. შედეგად, ქეთევან კობახიძის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა და იუსტიციის სამინისტროსა და სსიპ იუსტიციის სახლს მისთვის 55,000 ლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა დაევალათ.²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც.

გარდა ამისა, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე სხვადასხვა დავების შესახებ ინფორმაცია IDFI-მ თბილისის სააპელაციო სასამართლოდან საჯარო ინფორმაციის სახით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებებიდან მოიპოვა. სასამართლო გადაწყვეტილებებიდან იკვეთება, რომ სამსახურიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებულ შრომით დავაზე სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა ასევე დაეკისრა სერვისების განვითარების სააგენტოს (6,480 ლარი), აღსრულების ეროვნულ ბიუროს (3,494.4 ლარი), ეროვნულ არქივს (3,532.1 ლარი), იუსტიციის სახლს (56,300 ლარი).

[aghsrulebas?fbclid=IwAR0D8yEJc22wub9qGS06ydKpfet0hmP_dPOR_vchkvBqWbms3O2FUBklqzq#sthash.R2ecIbtM.KDQSDtyW.dpbs](https://www.radiotavisupleba.ge/a/29840460.html) (ბოლოს ნანახია 2018 წლის 12 დეკემბერს).

²⁰ <https://reginfo.ge/human-rights/item/8569-tamaz-axobawem-iustiziis-saministros-uzenaes-sasamartloshi-dava-meored-mougo> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 8 დეკემბერს).

²¹ აღსანიშნავია, რომ თამაზ ახობაძე სამსახურში მხოლოდ 2019 წლის 1 მარტს აღადგინეს და 13 მარტს გადაუხადეს განაცდური 71 952 ლარის ოდენობით (89 940 ლარს მინუს 20% სამემოსავლო გადასახადი)- <https://www.radiotavisupleba.ge/a/29840460.html> (ბოლოს ნანახია 2019 წლის 17 მაისს).

²² <https://imedinews.ge/ge/dzalovnebi/46112/tanamshromlis-gatavisuplebistvis-iustitsiis-saministros-55-ata-silaris-gadakhda-daekisra> (ბოლოს ნანახია 2018 წლის 8 დეკემბერს).

IDFI-ის შეფასებით, დღეს საქართველოში არ მოქმედებს ეფექტური მექანიზმი, რომელიც მოახდენს თანამდებობის პირების მხრიდან უკანონო ქმედებებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის პრევენციას. IDFI მიიჩნევს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა აუდიტის ჩატარებისას უნდა გამოავლინოს შემთხვევები, რა დროსაც კონკრეტული პირების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის გამო საჭირო გახდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხის გადახდა, შედეგად გარკვეული ზიანი მიაღწა სახელმწიფოს, თუმცა ამ ზიანზე პასუხისმგებელი პირისაგან რეგრესის წესით ანაზღაურება არ მომხდარა.

პრობლემას ასევე წარმოადგენს საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღუსრულებლობა, განსაკუთრებით კი შრომითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავების შემთხვევაში, ვინაიდან გადაწყვეტილებათა აღუსრულებლობის შედეგად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელი თანხის რაოდენობაც.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში პრობლემური იყო სხვადასხვა მონაცემის დაჯგუფება, ვინაიდან არ არსებობს ერთიანი სტანდარტი საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების აღრიცხვასთან დაკავშირებით. IDFI მიიჩნევს, რომ აუცილებელია საზოგადოებას ჰქონდეს დეტალური ინფორმაცია საჯარო დაწესებულებების წინააღმდეგ დასრულებული სასამართლო დავების შესახებ, რაც მოიცავს მათ შორის დაკისრებული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაციას.